დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებით

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

2023 წლის 23 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტი

მუხლი 1. რეგლამენტის არსი

რეგლამენტი განსაზღვრავს საერთო კრებაზე რეგისტრაციის, საერთო კრების სხდომის წარმართვის, ხმის მიცემის, შედეგების შეჯამებისა და სხდომის მიმდინარეობის სხვა პროცედურებს.

მუხლი 2. კრების ადგილმდებარეობა და დრო

საერთო კრება იმართება 2023 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (მისამართი: ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა N9).

მუხლი 3. კრების მიმდინარეობა

3.1. საერთო კრების გახსნამდე, 11:00 საათზე იწყება მონაწილეთა რეგისტრაცია და გრძელდება იმავე დღის 12:00 საათამდე. კრების დარბაზის შესასვლელთან განთავსებულია სარეგისტრაციო მაგიდები, სადაც სამანდატო კომისიის წევრები ამოწმებენ წევრთა ვინაობას, მოქალაქის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ან საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე, წევრთა ერთიან სიასთან შედარებით. წევრის მიერ სიაში ხელმოწერით და სამანდატო კომისიის წარმომადგენელის მიერ მანდატზე ხელმოწერით დასტურდება წევრის

კრებაზე მონაწილეობის უფლება, რის შემდეგაც წევრს გადაეცემა მანდატი, რომელიც დამოწმებულია სპეციალურად ამ კრებისთვის დამზადებული ბეჭდით, რომელზეც მითითებულია კრების თარიღი. ასოციაციის წევრი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია, დარბაზში დაიშვება მანდატის წარდგენის შემდეგ.

3.2. კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ადვოკატთა ასოციაციის არანაკლებ 800 წევრი. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, იმავე დღეს 13:00 საათზე, მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. განმეორებითი კრების მოწვევის შემთხვევაში კრების დღის წესრიგი რჩება უცვლელი და განმეორებითი რეგისტრაცია ცხადდება 12:10 საათზე და სრულდება 13:00 საათზე. განმეორებით კრების იმავე დღეს მოწვევის შემთხვევაში, განმეორებით ახალი მანდატი არ გაიცემა და ძალაში რჩება პირველი რეგისტრაციის დროს გაცემული მანდატი.

3.3. სამანდატო კომისია 12:00 საათზე, ხოლო განმეორებითი კრების შემთხვევაში 13:00 საათზე აჯამებს კრებაზე მოსულ წევრთა რაოდენობას და სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ამ ინფორმაციას გადასცემს კრების თავმჯდომარეს. კრებაზე რეგისტრაცია სრულდება 12:00 საათზე, ხოლო განმეორებითი კრების შემთხვევაში 13:00 საათზე. დაგვიანებით მოსული წევრები შეძლებენ რეგისტრაციის გავლას 15:00 საათამდე. 15:00 საათის შემდეგ, მოსულ წევრებზე არ გაიცემა მანდატი, შესაბამისად ადვოკატს ეკრძალება კრებაზე დასწრება.

3.4. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ ასოციაციის თავმჯდომარე აცხადებს კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობას და ინფორმაციას კრების უფლებამოსილების შესახებ.

3.5. რეგისტრაციაგავლილი ასოციაციის წევრი, რომელიც დატოვებს შენობას, კრებაზე დაიშვება მხოლოდ მანდატისა და საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი ან პირადობის დამადასტურებელი ან მოქალაქის პასპორტის მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 4. ასოციაციის წევრთა ერთიანი სია

4.1. ასოციაციის წევრთა ერთიანი სია ზონარგაყრილი და დალუქული სახით ინახება ასოციაციის აღმასრულებელ მდივანთან, რომელიც კრების დღეს წევრთა რეგისტრაციის მიზნით გადაეცემა სამანდატო კომისიას რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი სამანდატო კომისიის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი მდივნის ხელმოწერით.

4.2. სარეგისტრაციო სიის ყოველი ფურცელი ბეჭედდასმულია და შეიცავს მონაცემებს ადვოკატის შესახებ სახელის, გვარისა და ადვოკატის სიითი ნომრის მითითებით. ადვოკატის სახელის და გვარის გასწვრივ მოცემულია ხელმოწერის 2 გრაფა, საიდანაც პირველი გრაფა განკუთვნილია საერთო კრებაზე (მათ შორის განმეორებით საერთო კრებაზე) გამოცხადებული წევრებისთვის და მეორე გრაფა ბიულეტენის მიღების დადასტურებისთვის.

4.3. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, სამანდატო კომისია უზრუნველყოფს რეგისტრაციაგავლილ წევრთა რაოდენობის დათვლას. შედეგად დაიხურება შეუვსებელი გრაფები და მის გასწვრივ დაისმება ლათინური ნიშანი - „Z“.

4.4. ზემოაღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ, სარეგისტრაციო სიები სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მიერ გადაეცემა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი რომელსაც ხელს აწერენ სამანდატო კომისიისა და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეები.

მუხლი 5. კრების მიმდინარეობის პროცედურები

5.1. კრებას ხსნის და უძღვება ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის კრების თავმჯდომარე (შემდეგში “თავმჯდომარე”). ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრებას ხსნის და უძღვება სხვა უფლებამოსილი პირი.

5.2. თავმჯდომარე:

5.2.1. უზრუნველყოფს კრების გახსნას;

5.2.2. უძღვება საკითხის განხილვას, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე სიტყვას აძლევს და ჩამოართმევს გამომსვლელს. გამომსვლელის სიტყვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, რომელსაც შეიძლება კრების თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაემატოს 1 წუთი;

5.2.3. უზრუნველყოფს ამ რეგლამენტისა და საერთო კრებაზე წესრიგის დაცვას;

5.2.4. ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სიტყვას ჩამოართმევს გამომსვლელს, სხდომათა დარბაზს ატოვებინებს წევრს, რომელიც არღვევს წესრიგს;

5.2.5. კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს.

5.2.6. საჭიროების შემთხვევაში აცხადებს შესვენებას;

5.2.7. ხელს აწერს კრების ოქმს;

5.2.8. ახორციელებს ამ რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.3. საერთო კრებაზე საკითხის განხილვა წარმოებს კრების დღის წესრიგით დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

მუხლი 6. სამანდატო კომისია

სამანდატო კომისია შედგება 12 წევრისგან, რომლის შემადგენლობასა და თავმჯდომარის კანდიდატურას ამტკიცებს ასოციაციის თავმჯდომარე. სამანდატო კომისიის უფლებამოსილება წყდება კრების დამთავრებისთანავე. სამანდატო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი, ან/და აპარატის თანამშრომელი ან/და მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს სამანდატო კომისიის საქმიანობას.

მუხლი 7. ხმის დამთვლელი კომისია

7.1. ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი (ასოციაციის წევრთაგან) აირჩევა ღია კენჭისყრით კრების დაწყებისთანავე და მათი უფლებამოსილება მთავრდება კრების დახურვისთანავე. ხმის დამთვლელი კომისიის წევრმა არ შეიძლება კენჭი იყაროს რომელიმე ასარჩევ თანამდებობაზე ან ორგანოში.

7.2. ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა არჩევნების კენჭისყრის შედეგების დათვლასა და შეჯამებას უზრუნველყოფს სამანდატო კომისია, ამ რეგლამენტით დადგენილი კენჭისყრის შედეგების დათვლისა და შეჯამების პროცედურების დაცვით. არჩევისთანავე, სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს გადასცემს სპეციალურად ამ კრებისთვის დამზადებულ ბეჭედს, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი.

7.3. ხმის დამთვლელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს. ხმის დამთველი კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის მდივანს, რომელიც უზრუნველყოფს კენჭისყრის/საარჩევნო პროცესის დოკუმენტირებას, ხოლო კომისიის თავმჯდომარის არყოფნისას ასრულებს მის უფლებამოსილებებს. ხმის დამთველი კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შედეგების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნულ ოქმზე ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი და კომისიის არანაკლებ 5 წევრი. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ კენჭისყრის შედეგების ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში,

აღნიშნულ ოქმს ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის არანაკლებ 5 წევრი ანდა აღმასრულებელი მდივანი ანდა საერთო კრების თავმჯდომარე.

მუხლი 8. კენჭისყრის წესი და პროცედურა

8.1. ხმის დამთვლელი კომისია ღია კენჭისყრის დროს განთავსდება სექტორების მიხედვით და თითოეული წევრი ვალდებულია დაითვალოს მიღებული ხმები სექტორების მიხედვით, რომლებიც კომისიის მიერ შეჯამდება და მოხსენდება კრებას.

8.2. ღია კენჭისყრის დროს პირველად ცხადდება ვინ არის მომხრე და შემდეგ ვინ წინააღმდეგი.

8.3. ფარული კენჭისყრის დროს ბიულეტენში შეიტანება კანდიდატის სახელი გვარი და სიითი ნომერი. დაბეჭდილი ბიულეტენები დამოწმებული უნდა იყოს სპეციალურად ამ კრებისთვის დამზადებული ბეჭდით. სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მიერ ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარისთვის ბიულეტენების გადაცემის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება ხმის დამთვლელი კომისიისათვის გადაცემული ბიულეტინების საერთო რაოდენობა. აღნიშნულ ოქმს ხელს აწერენ სამანდატო და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეები. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის თითოეული წევრისთვის გადაცემული ბიულეტენების რაოდენობის შესახებ დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

8.4. კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრის დაწყებამდე. ამ შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენში აღნიშნული კანდიდატის გასწვრივ კეთდება აღნიშვნა - „მოხსნილია” და ასეთი კანდიდატის მიერ მიღებული ხმები არ დაითვლება.

8.5. საერთო კრებისთვის იბეჭდება A-5 ზომის ფერადი ბიულეტენი: აღმასრულებელი საბჭოს წევრი კანდიდატებისთვის. ბიულეტენში კანდიდატები შეიტანება ანბანური თანმიმდევრობით.

8.6. საარჩევნო დარბაზში/სექციაში იდგმება მაგიდები. თითოეულ მაგიდასთან ზის ხმის დამთვლელი კომისიის არანაკლებ ერთი წევრი, რომელიც მანდატის, მოქალაქის პასპორტის ან პირდობის ან საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის და შესაბამისი ხელმოწერის საფუძველზე ასოცაციის წევრს გადასცემს ბეჭედ დასმულ ბიულეტენს. კომისიის დანარჩენი წევრები თვალყურს ადევნებენ კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობას.

8.7. საარჩევნო ბიულეტენის მიღების შემდეგ ასოციაციის წევრი შედის ხმის მიცემისათვის განკუთვნილ კაბინაში, რომელშიც დაიშვება მხოლოდ ერთი ასოციაციის წევრი. საარჩევნო კაბინაში ასოციაციის წევრი შემოხაზავს მისთვის სასურველი კანდიდატების რიგით ნომერს და შევსებულ ბიულეტენს ათავსებს საარჩევნო ყუთში. ასოციაციის წევრებმა ბიულეტენში უნდა შემოხაზონ მხოლოდ 1 (ერთი) სასურველი კანდიდატის რიგითი ნომერი. ბიულეტენში ერთზე მეტი კანდიდატის შემოხაზვის შემთხვევაში აღნიშნული ბიულეტენი ითვლება ბათილად.

8.8. შესაბამისი წესით დალუქულ საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა დაუშვებელია. თითოეულ საარჩევნო ყუთს ზედამხედველობას უწევს არანაკლებ ერთი ხმის დამთვლელი კომისიის წევრი.

8.9. ამომრჩევლები მოძრაობენ რიგის დაცვით შემდეგი მიმართულებით: - ბიულეტენის გაცემის მაგიდა - ხმის მიცემისათვის განკუთვნილი კაბინა - საარჩევნო ყუთი. ამომრჩევლები იღებენ ბიულეტენს, ხელს აწერენ მის მიღებაზე, შედიან ხმის მიცემისათვის განკუთვნილ კაბინაში, ბიულეტენში შემოხაზავენ იმ რიგით ნომერს, რომლის გასწვრივაც არის მისი სასურველი კანდიდატი და აღნიშნულ ბიულეტენს აგდებენ საარჩევნო ყუთში.

8.10. ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, ითვლება გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

8.11. ხმის მიცემის დასრულების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები საარჩევნო ყუთებს ათავსებენ საარჩევნო კრებაზე დამსწრე წევრთათვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ მაგიდაზე. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს თითოეული საარჩევნო ყუთის ლუქის ურღვევობას, რის შემდეგაც ხსნის საარჩევნო ყუთებს. ხმის დათვლის პროცედურის დროს მიმდინარეობს ვიდეო ჩაწერა.

8.12. საარჩევნო ყუთების გახსნის შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები იწყებენ ხმის დათვლის პროცედურას, რის შემდგომაც ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე აცხადებს კენჭისყრის შედეგებს.

8.13. იმ შემთხვევაში თუ გაჭიანურდა ხმების დათვლის პროცედურა და ასარჩევ კანდიდატთა ხმების დათვლა ვერ მოესწრო 20:00 საათამდე, საარჩევნო ყუთები ილუქება სპეციალური ლუქით და მიიღება გადაწყვეტილება საარჩევნო ყუთების გადატანის შესახებ და დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარისა და ხმის დამთვლელი კომისიის არანაკლებ 3 წევრის მეთვალყურეობით ხორციელდება საარჩევნო ყუთების გადატანა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის ოფისში მისამართზე თინათინ ვირსალაძის 1-ლი ჩიხი N1, სართული 1, ოთახი 4.

8.14. ხმის დამთვლელი კომისია აგრძელებს ხმების დათვლას, ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში მისამართზე თინათინ ვირსალაძის 1-ლი ჩიხი N1, სართული 1, ოთახი 4, კენჭისყრის მომდევნო დღის 12:00 საათიდან. ხმის დათვლის პროცედურა იწერება შესაბამისი ვიდეო კამერით. ხმების დათვლის პროცედურის დამთავრების შემდეგ დგება შესაბამისი ოქმი, რომლის სისწორეც დასტურდება წინამდებარე წესდების 9.1 მუხლის შესაბამისად.

8.15. პირველ ტურში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას მიიღებს.

8.16. იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში კანდიდატებს შორის ხმები გადანაწილდა თანაბრად ტარდება კენჭისყრის მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას იღებს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.

8.17. მეორე ტურის კენჭისყრა მიმდინარეობს პირველი ტურისთვის განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

8.18. ბიულეტენები ინახება ერთი წლის განმავლობაში სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში რის შემდეგაც ბიულეტენები ნადგურდება რაზედაც დგება ოქმი ასოციაციის თავმჯდომარის ხელმოწერით.

8.19. ბათილია ბიულეტენი თუ:

(ა) ბიულეტენში შემოხაზულია უფრო მეტი კანდიდატის რიგითი ნომერი ვიდრე გათვალისწინებულია კონკრეტული კენჭისყრის დროს ან არასწორად არის ბიულეტენი შევსებული.

(ბ) ბიულეტენს არ აქვს ხმის დამთვლელი კომისიის წევრის ხელმოწერა და ბეჭედი.

(გ) ბიულეტენი დაზიანებულია ან მასზე არის დამატებითი წარწერები.

8.20. ბიულეტენები, რომლებიც შეიძლება გამოცხადდეს ბათილად, იწყობა ცალკე და ხმის დამთვლელი კომისიის მიერ ცხადდება ბათილად ცალ-ცალკე ხმათა უმრავლესობით. ბიულეტენის ბათილობა დასტურდება მასზე წარწერით და იმ წევრთა ხელმოწერით, ვინც ხმა მისცა მის გაბათილებას. ბათილი ბიულეტენების შენახვაზე ვრცელდება შენახვის საერთო წესი.

8.21. ყველა კენჭისყრა მიმდინარეობს გამჭვირვალედ. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება ღიაა. დაინტერესებულმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა, ვისაც აქვთ სურვილი დააკვირდნენ კრების მსვლელობის პროცესს, აკრედიტაციის მიღების

მიზნით, უნდა მომართონ ადვოკატთა ასოციციის აღმასრულებელ საბჭოს, არაუგვიანეს 2023 წლის 12 დეკემბრის 18:00 სათამდე, ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციაში განცხადების წარმოდგენის გზით. დამკვირვებლები კრებაზე დაიკავებენ მხოლოდ, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილს. ვიდეო-აუდიო ჩანაწერების განხორციელება დასაშვებია ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ისე რომ ხელი არ შეეშალოს კრების მიმდინარეობის პროცესს.

მუხლი 9. შემაჯამებელი ოქმი

9.1. არჩევნების შედეგების გაფორმება ხდება ხმის დამთვლელი კომისიის მიერ, შემაჯამებელი ოქმის შევსებით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. თუკი, კომისიის წევრი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე, ეს აღინიშნება ოქმში, თუკი ხელისმოწერაზე უარს ამბობს კომისიის წევრთა უმრავლესობა, ოქმს ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის არანაკლებ 5 წევრი ანდა აღმასრულებელი მდივანი ანდა საერთო კრების თავმჯდომარე.

9.2. შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს:

ა) რამდენი ადვოკატია ერთიან სიაში;

ბ) რამდენმა ადვოკატმა გაიარა რეგისტრაცია;

გ) რამდენმა ადვოკატმა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა;

დ) რამდენი ბიულეტენი იყო მიღებული საერთო ჯამში;

ე) რამდენი ბიულეტენი იყო გამოყენებული;

ვ) რამდენი იყო გამოუყენებელი ბიულეტენი;

ზ) რამდენი ბიულეტენი გაბათილდა;

თ) თითოეულმა კანდიდატმა რამდენი ხმა მიიღო.

9.2. ბიულეტენში დასახელებულ ყველა კანდიდატს უფლება აქვს მოითხოვოს შემაჯამებელი ოქმის ასლი.

მუხლი 10. რეგლამენტის დებულებების დაცვა

10.1. რეგლამენტის დარღვევისთვის საერთო კრებაში მონაწილე პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ზემოქმედების შემდეგი ფორმები:

10.1.1. გაფრთხილება;

10.1.2. კრებაზე სიტყვის ჩამორთმევა;

10.1.3. სხდომათა დარბაზის დატოვება.

10.2. კრების თავმჯდომარე საერთო კრებაში მონაწილე პირს სიტყვას ჩამოართმევს თუ იგი:

10.2.1. კრებაზე სიტყვით გამოდის სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე;

10.2.2. აჭარბებს რეგლამენტით დადგენილ დროს ან იმ დროს, რომელიც მას გაუგრძელეს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

10.3. კრების თავმჯდომარე გააფრთხილებს საერთო კრებაში მონაწილე პირს, რომელიც:

10.3.1. ამ მუხლით და რეგლამენტის 10.2.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სიტყვის ჩამორთმევის შემდეგაც განაგრძობს გამოსვლას;

10.3.2. სიტყვით გამოდის მიკროფონის გარეშე;

10.3.3. ჩაიდენს ქმედებას, რომელიც იწვევს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით წარმართული სხდომის შეფერხებას;

10.4. კრების თავმჯდომარე დარბაზს დაატოვებინებს იმ პირს:

10.4.1. რომელმაც იმავე სხდომაზე მიიღო ორი გაფრთხილება და ხელს უშლის კრების მიმდინარეობას;

10.4.2. რომელიც სხდომათა დარბაზში გამოცხადდა იარაღით ან სხვა კანონით აკრძალული ნივთით;

10.4.3. რომელიც ხელს უშლის საერთო კრების მიმდინარეობას ან ამგვარი ქმედებისკენ მოუწოდებს სხვა პირებს.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე რეგლამენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად, რომლის ტექსტი აუთენტურია.

11.2. ასოციაციის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ რეგლამენტის ასლი.